



**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №**

—თებერვალი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთისთვის, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის I შესახვევის და გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთებს (მონაკვეთები ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად) მიენიჭოს ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთს მიენიჭოს ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ქუჩის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.





საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES



0108 თბილისი, რუსთაველის გამზ. 52
დებუებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52; +(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge

“ 20 ” 06 2023წ.
№ 010107 - 465/195
თქვ. № _____

10/032317252 - 03

ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის (1986-2005 წწ) მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსის, თბილისის საპატიო მოქალაქის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ მოგმართავთ თხოვნით, რათა:

1. აკად. ალბერტ თავხელიძის სააცხოვრებელი სახლის კედელზე (ქ.თბილისი, იაკობ ნიკოლაძის ქ.#8) გაკეთდეს მემორიალური დაფა;
2. ქ.თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელი.

დანართი: მონაცემები აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის შესახებ.

ლ.ლ.

პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი,
აკადემიკოსი

როინ მეტრეველი

აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე (16.12.1930 – 27.02.2010)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1986-2005 წლებში

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა, აკად. ნ. ბოგოლიუბოვის ხელმძღვანელობით.

1956-1970 წწ. მუშაობდა ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში (დუბნა, მოსკოვის ოლქი).

1965-1970 შეთავსებით მუშაობდა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (პროტვინო, მოსკოვის ოლქი) თეორიული ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელად, აგრეთვე უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბოგოლიუბოვის სახელობის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის (კიევი) განყოფილების გამგედ.

1970-1986 წწ. - საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი.

1976 წლიდან მოღვაწეობდა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2008 წლიდან ხელმძღვანელობდა ფიზიკის ფაკულტეტის ნაწილაკების ფიზიკისა და კოსმოლოგიის კათედრას.

1971-1994 წწ. - იყო მისი ინიციატივით შექმნილი თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, 1994-2005 წწ. - ინსტიტუტის დირექტორი

1971-2005 ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

1967 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1974 წ. - ნამდვილ წევრად; 1984 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1990 წ. - ნამდვილ წევრად.

1970-1990 - სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი.


საკავშირო სახელმწიფო პრემიის (1973), ლენინური პრემიის (1988), რუსეთის სახელმწიფო პრემიის (1998), რუსეთის მთავრობის პრემიის (2001) ლაურეატი. „თავხელიძე-მატვეევ-მურადიანის კვარკული თვლის წესები“ სსრკ აღმოჩენათა სახელმწიფო რეესტრში გატარებულია როგორც აღმოჩენა.

1991-2005 წწ. საქართველოში პაგუოშის მოძრაობის ჯგუფის ხელმძღვანელი.

დაჯილდოებული იყო მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის ოქროს მედლით, 1999 წელს რომის პაპმა გადასცა სამახსოვრო ნიშანი მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციაში აქტიური მონაწილეობისა და ქრისტეშობის 2000 წელთან დაკავშირებით.

ა. თავხელიძე საქართველოს სამი ქალაქის (თბილისი, თელავი, ბაღდათი), აგრეთვე ქ. ტროიცკის (რუსეთი) საპატიო მოქალაქე იყო.

მისი სახელი პირველია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ გამოკვლევათა ინსტიტუტის საპატიო წიგნში.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი: 03-032311766
თარიღი: 27/04/2023

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

11-032311786-03

ასლი:

ადრესატი: გიორგი გოხაძე
პირადი ნომერი: 01019047712
მისამართი: II ზიგზაგის ქ. N 13

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში შემოვიდა მოქალაქე გიორგი გოხაძის განცხადება (N 19/032311750-03; 26.04.2023) დამისამართების თხოვნის თაობაზე.

განცხადებებიდან ირკვევა, რომ გვაზაურის ქუჩის II-ის შესახვევის-ში, მცხოვრებ მოსახლეობას აქვს პრობლემა, ქუჩის არასწორად დამისამართებასთან დაკავშირებით. დეტალური ინფორმაცია, აღწერილია განცხადებაში, რომელსაც გიგზავნით განსასილველად.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული განცხადება, გაითვალისწინოთ მოქალაქეთა თხოვნა და გაუწიოთ დახმარება თქვენი კომპეტენციისა და კანონის ფარგლებში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, პასუხი აცნობეთ მოქალაქეს და წარმომადგენლობას.

დანართი : „2“ (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ინგოლი ხალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
მართობის უწყისი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნაძალადევის მაჟორიტარ დეპუტატს

ბატონ ირაკლი ხელაძეს

მოქალაქე: გიორგი კობახიძე
პ/ნ: 01019047712
მცხ: ხუბუღი მე-2/13
ტელ: 555 422664

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგსწავლით რომ ვცნობ ხუბუღი მე-2 ჯილდოს,
ერთიანი ჯილდო და რომ ერთიანი
ჯილდოს გაცემის შემთხვევაში შესაძლებელი
საქმის შესრულება და რომელი ერთიანი ჯილდოს
ერთიანი

26.04.2023
გ კობახიძე



სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06-032317488-03



KA011792230907723

23 / ივნისი / 2023 წ.

№ 132783

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

2022 წლის 13 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის N 14-01231643236 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 146421/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილი იქნა გვაზაურის II გასასვლელში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩაზე დასაზღვრე ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ გვაზაურის II გასასვლელის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის, განფენილობის გათვალისწინებით, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან გვაზაურის II გასასვლელს არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულების განტოტებებად და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ გეოგრაფიული ობიექტის დაყოფის (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,



საგპრო
რეკონსტრუქციის
ნაციონალური სააგენტო

სიტუაციური ნახაზი



გვავულის II გასასვლელი

ლეგენდა

— გვავულის II გასასვლელი

19/032328628-03

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლოვების კომისიის

თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ: თბილისი მუნიციპალიტეტი

მცხ: ვახუშტი ქ. II კლ. №66

ტელ: 599-87-9714.

პ.ნ: 01019004699.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დუბსკოვს, რომ ყოფილი ზღაპრული ქუჩის დასახლება
დღევანდელი მდგომარეობით მდებარეობს ვახუშტი ქუჩის მხარეს,
სადაც სხვადასხვა სახის შენობები და სახლია, რომლებიც
დასახლებულნი არიან ადამიანებით, რომლებიც
დასახლებულნი არიან ადამიანებით, რომლებიც
დასახლებულნი არიან ადამიანებით, რომლებიც
დასახლებულნი არიან ადამიანებით, რომლებიც

თუ შეიძლება უნდა განვიხილოთ ეს დასახლება
რეალურად და შევადაროთ მას სხვა დასახლებებს.
ჩვენთვის ცნობილია, რომ ვახუშტი ქუჩის მხარეს
დასახლებულნი არიან ადამიანებით, რომლებიც
დასახლებულნი არიან ადამიანებით, რომლებიც
დასახლებულნი არიან ადამიანებით, რომლებიც

შეიძლება განვიხილოთ: თბილისი ქ., ვახუშტი ქ.,
ვახუშტი ქ. და სხვა ქუჩები.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლოვების კომისიის
თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

შუბითიძე რამაზი
შუბითიძე კახა
შუბითიძე სოფიკო
შუბითიძე ნაზი
ბოჭორიშვილი ხატია
გოგიაშვილი ვალოდია
სადღობელაშვილი დალი
ქერდიკაშვილი გიორგი
დოლიძე ვალერი
ბლიაძე ნუგზარი
ყიფიანი გოგი
ყიფიანი ნელი
ტუსუდი ლია
დავითური არსენა
ჯანუხაშვილი შერმადინი
ლომიძე ნათია
ლომიძე ნოდარი
ცარციძე გუჯა
გრიგოლაშვილი გოჩა
წიკლაური ლევანი
ცარციძე ნიკო
ტალახაძე გოჩა
ბეჟაური ვაჟა
შარმაძე ბადრი
ხახიშვილი სპარტაკი
ხოსიაური დათო
წიკლაური ვიქტორი
წითურიძე ვაჟა
ყეინიშვილი ვალიკო
ცისკაძე როლანდი

დვალაშვილი გივი
ვარსიძეშვილი რამაზი
მარკოზაშვილი ზაზა
მარკოზაშვილი კახა
ვეშაგური ზურა
ხარაძე ბადრი
ქარელიშვილი გია
გევორქიანი ტიგრანა
გაგლოევი მერაბი
გოჯიაშვილი გია
თეთრუაშვილი სატო
ცისკაძე გივი
კობალაძე დიმიტრი
მახნიაშვილი ბესო
ლოკაშვილი გოგოცა
ტაკაშვილი გიორგი
ჯელაძე ჯაბა

(Handwritten signatures and initials corresponding to the printed names)



ალბერტ თავხელიძე

(1930-2010)

ფიზიკოსი, აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; ვაშინგტონის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი თეორიული ფიზიკის სპეციალობით 1953 წელს; აკადემიკოს ნ. ნ. ბოგოლუბოვის ხელმძღვანელობით დაამთავრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა 1956 წელს.

1956 წლიდან მუშაობდა ქ. დუბნას ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყოფილების გამგედ და თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ. 1965-1970 წწ. იყო ქ. პროტვინოს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის სექტორის გამგე. 1967-1971 წწ. მუშაობდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განყოფილების გამგედ (უკრაინის, ქ. კიევის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნ. ნ. ბოგოლიუბოვის სახელობის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა ნ. ნ. ბოგოლუბოვისა და ალბერტ თავხელიძის ძალისხმევით). 1970-1986წწ. იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ქ. მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტი). იგი ხელმძღვანელობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და იყო ჟურნალ „ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომის ბირთვის ფიზიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1971 წელს მან ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში გახსნა თეორიული ფიზიკის განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგა 1971-2005 წლებში. 1977-1994 წწ. ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით დაარსებულ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის

ინსტიტუტს, 1994-2005წწ. იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი. 1995-2005წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს უმაღლესი განათლების ინფორმატიზაციის საბჭოს ორგანიზატორი და თავმჯდომარე. 1991-2005წწ. ხელმძღვანელობდა პაგოუმის მოძრაობის ჯგუფს და იყო მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის საქართველოს განყოფილების დირექტორი; 1976-1990წწ. მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კვანტური სტატისტიკის კათედრის პროფესორი. 2008 წელს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა ფიზიკის ფაკულტეტის ბაზაზე მისივე ინიციატივით შექმნილი ნაწილაკების ფიზიკისა და კოსმოლოგიის კათედრის გამგედ. 1986-2005წწ. იყო ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 1986 წლიდან თავმჯდომარეობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი ფიზიკისა და ასტრონომიის განყოფილების მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის პრობლემაზე მომუშავე სამეცნიერო საბჭოს. 1969-1991წწ. ალბერტ თავხელიძე იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „თეორიული და მათემატიკური ფიზიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორი. სათავეში ედგა საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების სახელმწიფო პრემიების კომიტეტს. იგი იყო ახალგაზრდა მეცნიერთა მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, სემინარისა და სკოლის ორგანიზატორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის რანგში, აქტიურად მონაწილეობდა დუბნაში, კიევსა და თბილისში ჩატარებული მაღალი ენერგიების ფიზიკის სფეროში გამართული როჩესტერის კონფერენციების ორგანიზებასა და მუშაობაში, ასევე იყო საერთაშორისო კონფერენცია „კვარკის“ ორგანიზატორი, რომელიც 1980 წლიდან რეგულარულად იმართებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის აქტიური მხარდაჭერით. მისი შრომები ეხება ველის კვანტური თეორიისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ძირითად საკითხებს. ა. ლოგუნოვთან ერთად ველის კვანტურ თეორიაში შემოიტანა და დაამკვიდრა კვაზიპოტენციალის მეთოდი. მიღებული აქვს მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის ოქროს მედალი.

დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ π -მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადება“; სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კვაზიპოტენციური მიდგომა ველის კვანტურ თეორიაში“ 1963 წელს.

2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით; 2001 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით; 2003 -წელს გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე; იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; ვაშინგტონის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.